სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ნავთობის და გაზის XI-H (XIH, XIB და XIL გაერთიანება) სალიცენზიო ბლოკზე (ტერიტორიულად მოიცავს დუშეთის, თიანეთის, საგარეჯოსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებს) სახელმწიფოსთან გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებისა და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის საფუძველზე ნავთობის და გაზის ოპერაციებს ახორციელებს „Georgia Oil & Gas Limited-ის ფილიალი საქართველოში“, რომლის დაკვეთით კონსულტანტი კომპანია შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“ ამზადებს XIH, XIB და XIL სახელშეკრულებო ფართობებთან დაკავშირებულ პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების გაერთიანებასთან დაკავშირებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, რომელიც შეიცავს ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად გარემოზე პოტენციური ზემოქმედების ანალიზს.

გზშ-ის მომზადების პირველ ეტაპს წარმოადგენს სკოპინგის ანგარიში (*პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და აღნიშნული ინფორმაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს*), რომლის ს ა ჯ ა რ ო გ ა ნ ხ ი ლ ვ ა გაიმართება 2026 წლის 30 ივლისს 14 საათზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოპინგის ანგარიში ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლისთვის. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ფეისბუქ გვერდზე (ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო/State Agency of Oil and Gas), დუშეთის (dusheti.gov.ge), თიანეთის (tianeti.gov.ge), საგარეჯოსა (sagarejo.gov.ge), და გარდაბნის (gardabani.gov.ge) მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, ასევე მოთხოვნის შემთხვევაში სააგენტოსა (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.№2) და ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტების მერიებში ხელმისაწვდომია სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი ეგზემპლარი.

საზოგადოებას უფლება აქვს სკოპინგის ანგარიშის განთავსებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით (წერილობით; საჯარო განხილვის დროს; ელექტრონული საშუალებით, თუ ის იძლევა ავტორისა და გამომგზავნის სარწმუნო იდენტიფიცირების საშუალებას).

საჯარო განხილვა ღიაა და საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მასში.